

"openscience.ge" არის საქართველოს ინტეგრირებული ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემის კონსორციუმის ციფრული საცავი.

ციფრული საცავის მიზანია, უზრუნველყოს ღია წვდომა საქართველოს საგანმანათლებლო ორგანიზაციების მკვლევართა პუბლიკაციებსა და სამეცნიერო ნაშრომებზე, ამასთან ერთად, მკვლევართა საიტებზე, პროექტებსა და ორგანიზაციულ ერთეულებზე.

ციფრული საცავი იყენებს DSpace-CRIS პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც შემუშავებულია და მხარდაჭერილია საქართველოს ინტეგრირებული ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემის კონსორციუმის მიერ, საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით. პროგრამული პლატფორმა შეესაბამება OpenAIRE Guidelines for Literature Repositories v3.

წარდგენის წესები

ვის შეუძლია კონტენტის საცავში შენახვა?

კონტენტის ციფრულ საცავში შესატანად, რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს ინტეგრირებული ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემის კონსორციუმთან და გქონდეთ მოქმედი უფლებამოსილება (მანდატი). მანდატს ციფრული საცავის მენეჯერი ანიჭებს, რეგისტრაციისას.

გთხოვთ, მიჰყევთ მასალის წარდგენის ინსტრუქციას ([submission guidelines](#)).

ყველა წარდგენილი მასალა უნდა დაამტკიცოს ციფრული საცავის მენეჯერმა.

რეგისტრაცია საცავში

რეგისტრაცია ხორციელდება სარეგისტრაციო ფორმის შევსებით (გთხოვთ, გამოიყენოთ კორპორატიული ელ. ფოსტა). რეგისტრაციისას, ციფრული საცავის მენეჯერი განიჭებთ უფლებამოსილებას, შეიტანოთ თქვენი ნაშრომი და მიიღოთ წვდომა, საჯაროდ მიუწვდომელ, კონტენტზე.

შესატანი კონტენტის მოცულობა / აუცილებელი პირობები შესატანი კონტენტისათვის

- კონტენტი შეიძლება მოიცავდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინჟინერიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის და სხვა სამეცნიერო სფეროების კვლევის შედეგებს.

- კონტენტი უნდა იყოს დასრულებული და არა მიმდინარე დოკუმენტი. თუ საჭიროა ცვლილებების შეტანა, მაშინ შეცვლილი ელექტრონული დოკუმენტი იქნება შეტანილი, როგორც ახალი დოკუმენტი.

• კონტრიბუტორებს (ავტორებს) უნდა ჰქონდეთ სურვილი და შესაძლებლობა, მიანიჭონ საქართველოს ინტეგრირებული ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემის კონსორციუმს არაექსკლუზიური უფლებები, რათა ციფრული საცავის მეშვეობით შეინახონ და ხელმისაწვდომი გახადონ თავიანთი ნამუშევრები.

• კონტენტი უნდა იყოს ციფრულ ფორმატში.

განსათავსებელი კონტენტის სახეობები:

მიიღება შემდეგი სახეობის კონტენტი:

- პუბლიკაციები (მათ შორის შავი ვერსიები);
- დისერტაციები;
- სამაგისტრო და საბაკალავრო დისერტაციები;
- სამუშაო დოკუმენტები და ტექნიკური ანგარიშები;
- ოფიციალური დოკუმენტები და ანგარიშები;
- მონაცემთა ნაკრები;
- კონფერენციის პრეზენტაციები;
- საკონფერენციო პლაკატები;
- სასწავლო კურსის პუბლიკაციები და სასწავლო მასალები;
- სურათები;
- აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

კონტენტების ჩამონათვალი არასრულია. ამ საკითხებთან, დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით.

განსათავსებელი ფაილის ფორმატები

დამუშავების ჯგუფი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ფაილის ფორმატის მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფორმატის შეტანა არის შესაძლებელი, რეკომენდებულია ღია და მდგრადი ფორმატების გამოყენება. შენახვის მიზნით უპირატესობა ენიჭება შემდეგ ფორმატებს:

- ტექსტური: PDF/A, TXT, HTML, XML, CSV
- გამოსახულება / ფოტო: TIFF, JPEG 2000
- აუდიო: WAVE, AIFF
- ვიდეო: MOV, Motion JPEG 2000
- მონაცემები: CSV, XML

წვდომა

ციფრული საცავის თითოეული ჩანაწერი შედგება შეტანილი დოკუმენტისა და მეტამონაცემებისგან, რომლებიც მას აღწერს. მეტამონაცემებსა და შეტანილ დოკუმენტებზე ვრცელდება წვდომისა და ხელახალი გამოყენების სხვადასხვა წესები.

მეტამონაცემების პოლიტიკა

მეტამონაცემები თავისუფლად არის ხელმისაწვდომი ყველასთვის და მათი ხელახლა გამოყენება შეუზღუდავად შეუძლია ყველას [CC0](#) ლიცენზიის ([CC0 license](#)) პირობების შესაბამისად.

შენახულ კონტენტზე წვდომა

შენახული კონტენტი (დოკუმენტები) ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- აკრძალულია კონტრაქტით;
- შეზღუდულია საავტორო უფლებებით;
- გარკვეული დროით დაწესებულია ემბარგო.

შენახვის წესები

ციფრულ საცავში შეტანილი მეტამონაცემები და ფაილები მუდმივად ინახება. კონტენტის ამოღება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

ჩანაწერები შეიძლება ამოღებულ იქნეს საცავიდან შემდეგ შემთხვევებში:

- საავტორო უფლებების დადასტურებული დარღვევა;
- პლაგიატი;
- გაყალბებული კვლევა;
- კვლევა, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან შეცდომებს;
- საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

ამოღებული ეგზემპლარები უშუალოდ არ იშლება. მათი ამოღება ხდება მხოლოდ საზოგადოების წვდომიდან. ამოღებული ერთეულების მეტამონაცემების ძიება არ იქნება შესაძლებელი. ამოღებული ერთეულების იდენტიფიკატორები/URL ინახება განუსაზღვრელი ვადით.

ვერსიების კონტროლი

ციფრულ საცავში შენახული ეგზემპლარების შეცვლა დაუშვებელია. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განახლებული ვერსიის შეტანა და ადრინდელი ვერსიის ამოღება საჯარო წვდომიდან. თუ ციფრულ საცავში ხელმისაწვდომია ერთი და იგივე

კონტენტის რამდენიმე ვერსია, მაშინ იარსებებს ბმულები, შედარებით ადრეულ და გვიან ვერსიებს შორის, ხოლო უახლესი ვერსია მკაფიოდ იქნება იდენტიფიცირებული.

სამართლებრივი ჩარჩოები

საკუთარი ნაშრომის ციფრულ საცავში შეტანით კონტრიბუტორები თანხმდებიან, რომ საქართველოს ინტეგრირებული ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემის კონსორციუმს გადასცემენ მხოლოდ კონტენტის გავრცელებისა და შენახვის არაექსკლუზიურ უფლებას.

თუ ციფრულ საცავში შეტანილი კონტენტი უკვე გამოქვეყნებულია, დაცული უნდა იყოს მისი საავტორო უფლებების პირობები და სხვა სამართლებრივი შეზღუდვები, როგორცაა გამომცემლების ემზარგოს ვადები. საავტორო უფლებების ნებისმიერ დარღვევაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ავტორებს/კონტრიბუტორებს. გამომცემლების თვითარქივირების წესების შესამოწმებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ [SHERPA/ROMEO](#).

თუ შეტანილი კონტენტი გამოუქვეყნებელია, ავტორი ინარჩუნებს საავტორო უფლებებს. საქართველოს ინტეგრირებული ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემის კონსორციუმი არ გამორიცხავს დოკუმენტების გამოქვეყნებას ჟურნალებში, მონოგრაფიაში ან სხვაგან. თუ კონტენტის გამოქვეყნებას აპირებთ, გთხოვთ, შეამოწმოთ გამომცემლის პოლიტიკა წინასწარი ან პარალელური გამოქვეყნების შესახებ. ამისათვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ [SHERPA/ROMEO](#).

კონფიდენციალურობა

როდესაც მომხმარებელი სტუმრობს ციფრულ საცავს, გარკვეული ინფორმაცია ავტომატურად გროვდება და ინახება. ეს ინფორმაცია, ზოგადად, არ ახდენს მომხმარებლის პირად იდენტიფიცირებას. ინფორმაცია, რომელიც ავტომატურად გროვდება და ინახება საცავის საიტის მონახულებისას, მოიცავს შემდეგს:

- ინტერნეტ დომენი და IP მისამართი, საიდანაც მოხდა საცავზე წვდომა;
- ბრაუზერის ტიპი და ოპერაციული სისტემა;
- თარიღი და დრო;
- მონახულებული გვერდები.

ავტომატურად შეგროვებული ეს ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ შიდა ტექნიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად, ციფრული საცავის გამოყენებადობის გასაუმჯობესებლად და საერთო სტატისტიკის ჩასაწერად.

[Google Analytics](#) და [Google Search Console](#) გამოიყენება ამ ციფრული საცავით სარგებლობის გასაანალიზებლად. Google Analytics-ი ახდენს სტატისტიკური და სხვა

ინფორმაციის ფორმირებას, ციფრული საცავის გამოყენების შესახებ, cookies ფაილების მეშვეობით, რომლებიც ინახება მომხმარებლის კომპიუტერზე. ციფრულ საცავთან დაკავშირებით ფორმირებული ინფორმაცია გამოიყენება მოხსენებებისათვის, რომლებიც აღნიშნული ციფრული საცავებით სარგებლობას ეხება. Google შეინახავს და გამოიყენებს ამ ინფორმაციას. Google-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკა ხელმისაწვდომია მისამართზე:

<http://www.google.com/privacypolicy.html>.

მომხმარებლების მიერ წარმოდგენილი პირადი ინფორმაცია

სისტემა აგროვებს, მასალის შეტანის პროცესში წარმოდგენილ, პერსონალურ ინფორმაციას. მოცემული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ მიზნისათვის, რისთვისაც თქვენ წარადგინეთ იგი. პერსონალური ინფორმაცია არ იქნება გაზიარებული მესამე პირთან და გამოყენებული კომერციული მიზნებისათვის.

კითხვები?

თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.